ალმა–ათაში – 0:0

ალმა–ათა. ცენტრალური სტადიონი. 12 ნოემბერი.

“ქაირათი” (ალმა–ათა) – “დინამო” (თბილისი) 0:0

“ქაირათი”: უბიკინი, შადიევი, კუკლევი, ბაიშაკოვი, გრებნევი (სტუკაშოვი), ნიკოტენკო, ილინი, გლადილინი, შრომბერგერი, მაქსუდოვი, ფეხლევანიდი (დედოვსკიხი).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, ხიზანიშვილი, თავაძე, ჩელებაძე (ჟვანია), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ლაცაბიძემ და მუმლაძემ.

ალმაათელმა ფეხბურთელებმა წლეულს საკმაო წარმატებით გაართვეს თავი მათს წინაშე მდგარ სიძნელეებს და პირველ ათეულშიც დამკვიდრდნენ. ამ მატჩის მოგებით გუნდს კიდევ უფრო შეეძლო თავისი სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება, ფრე კი მათ არაფერს აძლევდა, ვინაიდან საამისო ლიმიტი უკვე ამოწურულია.

ამიტომ მასპინძლებმა შეუპოვარი ბრძოლა შესთავაზეს დინამოელებს, რომლებიც კვლავ ინარჩუნებენ საპრიზო ადგილზე გასვლის შანსებს. თამაშის პირველი ნახევარი აღინიშნა ხშირი ორმხრივი იერიშებით, “ქაირათის” მცველები ყურადღებით დარაჯობდნენ თბილისელ ფორვარდებს, თუმცა ამ უკანასკნელთ კარის აღების რამდენიმე კარგი მდგომარეობა ჰქონდათ.

მეორე ტაიმში დინამოელებმა შეტევაში ჩართეს უკანა ხაზების მოთამაშეებიც. სახიფათო გარღვევები განახორციელეს შენგელიამ, ყიფიანმა, ჩივაძემ, დარასელიამ.

83–ე წუთზე ჭიალაიმ შორეული რეიდი შეასრულა, ბურთი გადასცა ყიფიანს, რომელმაც ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ “ქაირათი” იხსნა უბიკინის დროულმა ნახტომმა.

90 წუთმა განვლო, ბურთის გატანა კი ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო.

“ლელო”, 13 ნოემბერი, 1980 წ.